



27 აპრილს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა უნივერსიტეტის პროფესორებს, დოქტორანტებს და მაგისტრებს წარუდგინა „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“. სსუ-ს რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ, რომელიც ამ პროექტის პრეზენტაციას უძღვებოდა, ისაუბრა მის მნიშვნელობაზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი თუ ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, რომელთაც ეძლევათ შანსი თანადაფინანსების შემთხვევაში პროექტის მხარდაჭერით ისარგებლონ.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ წელს პირველად გამოაცხადა აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა, რომლის მიზანია აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერა, ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა, აფხაზეთის მეცნიერთა ინტელექტუალური პოტენციალის გაღრმავება და აფხაზეთის თემატიკის სამეცნიერო-აკადემიურ წრეებში წარმოჩენა. პროგრამის კოორდინატორმა ბესიკ ოდიშარია დამსწრეთ გააცნო სამეცნიერო პროექტის წარმოდგენისათვის აუცილებელი მოთხოვნები და კრიტერიუმები. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა 2010 წლის ბოლომდე გაგარძელდება. აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა და დაფინანსების მოთხოვნის განაცხადის ანკეტა, შეგიძლიათ იხილოთ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (მეცნიერების ბლოკში). [www.meca.gov.ge](http://www.meca.gov.ge)